PDF Eraser Free

დანართი №1

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „ვეტერინარიის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ (ქ. სენაკი)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ქეთევან ჭუჭულაშვილი

წევრები: ირმა არსენაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **საჯარო სამართლის იურიდიული პირი**

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

- [x] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

- [x] პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა
- [ ] პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება
- [ ] საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება
- [ ] ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება
- [ ] გეგმიური
- [ ] არაგეგმიური
- [ ] მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

II. საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის **2022 წლის 12 იანვრის №15424** ბრძანებით, სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში, სენაკის ბაზაზე (შემდგომში - დაწესებულება 2022 წლის 28 იანვარს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. წარმოების მიზანს წარმოადგენდა **„ვეტერინარიის“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული **„საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის ბ.ბ) კომპონენტის შესაბამისობის შემოწმება** (პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა). ექსპერტების მიერ განხილული და შესწავლილი იქნა, დაწესებულების როგორც წინასწარ გადმოგზავნილი, ისე ადგილზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია. ექსპერტებისა და დაწესებულების ადმინისტრაციასთან შეხვედრა გაიმართა წინასწარ შეთანხმებული განრიგის შესაბამისად.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

არ დაფიქსირებულა

IV. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა:

-

V. დაფიქსირებული ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა

VI. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა

VII. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

არ გაცემულა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

VIII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება	ვეტერინარია
პროფესიული განათლების საფეხური / დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ვეტერინარიაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0841
პროგრამის დამტკიცების/ცვლილების აქტის რეკვიზიტები	09.08.2019 (დადგენილება №38) ცვლილება 22.12.2021 (დადგენილება №67)
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	სენაკი, მშვიდობის ქ. №192
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	45
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს (არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

IX. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**
2) საგანმანათლებლო პროგრამები	(დაწესებულების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)	(ექსპერტების მიერ სტანდარტის საბოლოო შეფასება)
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი		**შეესაბამება**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

X. სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულება „ვეტერინარიის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას მოდულური მიდგომით ახორციელებს 2019 წლიდან, დაწესებულებას, მის მიერ წარმოდგენილი განაცხადით, სურს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდა 45 პროფესიულ სტუდენტამდე (15 პროფესიული სტუდენტით გაზრდა), თითო მიღებაზე 15 პროფესიული სტუდენტის ოდენობით. პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის საჭიროება განპირობებულია პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტთა მაღალი მომართვიანობით, ასევე, დაწესებულების მიერ წარმოდგენილია ევროკავშირის პროექტის ფარგლებში შესრულებული კვლევა „კვლევა შრომის ბაზრის და ზრდის პოტენციალის მქონე ეკონომიკური სექტორების იდენტიფიცირების მიზნით“, სადაც ასევე ასახულია ვეტერინარიის მიმართულებით კადრების მნიშვნელოვანი დეფიციტი. ამ ეტაპზე დაწესებულებას სრულად აქვს ათვისებული არსებული კვოტა(29 აქტიური სტატუსის მქონე და 1 სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტი).. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების თეორიული კომპონენტების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების მფლობელობაში არსებული, თეორიული სწავლებისთვის საჭირო რესურსით აღჭურვილ აუდიტორიაში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (45 პროფესიული სტუდენტი) გათვალისწინებით. 15 პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი აუდიტორია (A გარემო) აღჭურვილია შესაბამისად (პროფესიული სტუდენტის მერხი, სკამი, პროფესიული მასწავლებლის მაგიდა, სკამი, დაფა, კომპიუტერი, პროექტორი);
დაწესებულებას აქვს აუდიტორია (B გარემო) „ინფორმაციული წიგნიერების“ მოდულის განსახორციელებლად, რომელიც აღჭურვილია საჭირო სასწავლო ინვენტარითა და კომპიუტერული ტექნიკით (კომბაინები, პროექტორები, კომპიუტერები). აღნიშნული გარემო გამოიყენება სხვა საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებშიც მაგრამ სასწავლო გეგმები ისეა აწყობილი რომ უზრუნველყოფილია გარემოს გამტარობა

სასწავლო/პრაქტიკული აუდიტორია (C გარემო) თეორიული და პრაქტიკულ მეცადინეობისთვის მდებარეობს შენობის პირველ სართულზე, და გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე.

კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმები პარტნიორებთან: ი/მ ნანა დიხამინჯია სასაკლაო „ჩელა“, ასოციაცია სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის (AFAD), შპს „აგრო სახლი“, სსიპ - სურსათის ეროვნული სააგენტო, ჩხოროწყუს ა(ა)იპ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
მეცხოველეობის განვითარების ცენტრი, ვეტერინარიული კლინიკა „ინოვეტი“, ი/მ თინათინ კაჭარავა „ვეტაფთიაქი“, სამეგრელო-ზემო სვანეთის ვეტ. ასოციაციის ვეტერინარული კლინიკა, რომელთა მატერიალური რესურსები/აღჭურვილობა უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული პროფესიული და კლინიკური სწავლების მოდულების სწავლის შედეგების მიღწევას, სტუდენტთა ზღვრული ოდენობის (45 პროფესიული სტუდენტი) გათვალისწინებით.
დაწესებულების წარმომადგენლებმა, გასაუბრებისას აგრეთვე აღნიშნეს, რომ სწავლება მიმდინარეობს ცვლებში, რაც შესაბამისად არ უშლის ხელს მოდულების განხორციელებას და სწავლის შედეგების მიღწევას.

დაწესებულებას გაფორმებული აქვს შემდეგი მემორანდუმები/ხელშეკრულებები:

- **ი/მ ნანა დიხამინჯია სასაკლაო „ჩელა“** - ხელშეკრულების თანახმად ხელშეკრულების თანახმად პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად ერთჯერადად შეუძლია მიიღოს 15 პროფესიული სტუდენტი; პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება შემდეგი მოდულებისთვის - „ცხოველთა დაკვლისწინა და დაკვლის პროცესის მონიტორინგი“, „ცხოველთა დაკვლისშემდგომი კონტროლის განხორციელებაში მონაწილეობა“. ხელშეკრულების ვადა -2026 წლის 23 დეკემბერი
- **სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის (AFAD) ასოციაცია** - ხელშეკრულების თანახმად ხელშეკრულების თანახმად პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად ერთჯერადად შეუძლია მიიღოს 15 პროფესიული სტუდენტი; პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება შემდეგი მოდულებისთვის - „ცხოველთა მკურნალობა“,“ვეტერინარი ქირურგის ასისტირება“, „ცხოველთა ჯანმრთელობის დისგნოსტიკაში მონაწილეობა“, „ვეტ.მენობა და გინეკოლოგია“, „შინაური ბინადარი ცხოველების(ძაღლი,კატა) დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა“, „ცხოველთა საკარანტინო-შემზღუდველ ღონისძიებებშიმონაწილეობა“. ხელშეკრულების ვადა -2026 წლის 28 სექტემბერი
- **შპს „აგრო სახლთან“** მემორანდუმის თანახმად პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება. ხელშეკრულების ვადა -2024 წლის 6 ივლისი
- **სსიპ - სურსათის ეროვნულ სააგენტო** - მემორანდუმის თანახმად, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და კვალიფიციური კადრების მომზადებაში მონაწილეობის მიღება. ვადა -2025 წლის 31 იანვარი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- **ჩხოროწყუს ა(ა)იპ მეცხოველეობის განვითარების ცენტრი** - მემორანდუმის თანახმად პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებასა და შემდეგი მოდულისთვის - „ვეტ.მენობა და გინეკოლოგია“. ვადა -2025 წლის 31 იანვარი.
- **ვეტერინარიული კლინიკა „ინოვეტი“** -მემორანდუმის თანახმად პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება შემდეგი მოდულებისთვის - „ცხოველთა მკურნალობა“, „შინაური ბინადარი ცხოველების(ძაღლი,კატა) დაავადებების დიაგნოსტიკა და მკურნალობა“. ვადა -2025 წლის 31 იანვარი.
- **ი/მ თინათინ კაჭარავა „ვეტაფთიაქი“** -მემორანდუმის თანახმად პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება შემდეგი მოდულებისთვის - „ვეტ.ფარმაცია და ფარმაკოლოგია“, „დოზირების პრინციპი ვეტერინარიაში“. ვადა -2025 წლის 31 იანვარი.
- **სამეგრელო-ზემო სვანეთის ვეტ. ასოციაციის ვეტერინარული კლინიკა** - -მემორანდუმის თანახმად პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება შემდეგი მოდულებისთვის - „ვეტერინარი ქირურგის ასისტირება“ „ცხოველთა ჯანმრთელობის დიაგნოსტიკაში მონაწილეობა“ ვადა - 2025 წლის 31 იანვარი.
- **მცირე მეწარმე „თენგიზ ხოჭოლავა“** - -მემორანდუმის თანახმად პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდება შემდეგი მოდულებისთვის - „ცხოველთა დაკვლისწინა და დაკვლის პროცესის მონიტორინგი“, „ცხოველთა დაკვლისშემდგომი კონტროლის განხორციელებაში მონაწილეობა“. ვადა - 2025 წლის 31 იანვარი.

2. „ვეტერინარიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული, პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროფესიული განათლების მასწავლებლის საათობრივი დატვირთვა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. პროგრამის ფარგლებში სულ გათვალისწინებულია 18 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის, გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება ერთ ახალ პროფესიული განათლების მასწავლებელთან. ინფორმაცია პროფესიული განათლების მასწავლებელთა თაობაზე დაწესებულებამ წარმოადგინა განაცხადის დანართის სახით, ასევე, ექსპერტთა მიერ დაწესებულებაში ვიზიტის დროს შესწავლილ იქნა პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები. განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პროფესიული განათლების მასწავლებლები შერჩეულნი არიან კონკურსის/გასაუბრების გზით, ყველა მათგანთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ექსპერტებმა შეისწავლეს პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free
მათი განათლებისა, სამუშაო გამოცდილებისა და პროფესიული განვითარების დამადასტურებელი დოკუმენტები, ასევე გაესაუბრნენ მათ, რა დროსაც ნათელი გახდა მათი ცოდნა და კომპეტენცია, ასევე, მოდულური პროგრამების სწავლების, გამოცდილება, ამდენად, ექპერტებმა დაასკვნეს, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებლები აღჭურვილი არიან სწავლებისა და შეფასების სათანადო კომპეტენციით.

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, პროგრამის ხელმძღვანელი დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 2 დეკემბრის №01-02/155 ბრძანებით. დაწესებულების წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 29 ივნისის №12 დადგენილებით განსაზღვრულია პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები. ექსპერტები გაესაუბრნენ პროგრამის ხელმძღვანელს და შეამოწმეს მისი პირადი საქმე. პროგრამის ხელმძღვანელმა ექსპერტებთან გასაუბრებისას განაცხადა, რომ იგი ჩართული იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და ადაპტირებაში, იცნობს მოდულის სპეციფიკას, შეფასების ფორმების და შეფასების ინსტრუმენტებს.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში ელექტრონული და მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით გადამოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო და ზოგად მოდულებში მითითებული ლიტერატურა. ყველა სასწავლო რესურსი აღმოჩნდა ბიბლიოთეკაში - ელექტრონულ მატარებელზე. ასევე, ბიბლიოთეკაში არის სამუშაო სივრცე აღჭურვილი კომპიუტერებით, რომელშიც ჩატვირთულია პროგრამის სასწავლო რესურსი.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ადაპტირდება სსსმ პირების საჭიროებებისა და შესაძლებლობების შესაბამისად. პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს საჭიროების შემთხვევაში სსსმ პროფესიული სტუდენტისთვის სასწავლო მასალის ადაპტირების ფუნქცია. დაწესებულების აკადემიური საბჭოს 2021 წლის 09 ივლისის №34 დადგენილებით დამტკიცებული „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ 37-ე მუხლით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

7. დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამისათვის შემუშავებული აქვს ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს როგორც შემოსავლების ასევე ხარჯვით ნაწილებს და ბიუჯეტით გაანგარიშებულია პროგრამის რენტაბელობის ზღვარი და უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „ვეტერინარიის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით (აკადემიური საბჭოს 2019 წლის 9 აგვისტოს დადგენილება №38) ცვლილება (აკადემიური საბჭოს 2021 წლის 22 დეკემბრის დადგენილება №67);
- სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 22 დეკემბრის №69 დადგენილებით „ვეტერინარიის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული ოდენობის გაზრდის შესახებ;
- „სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობისა და მისაღებ სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიით“ (წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 20 აპრილის №14 დადგენილება);
- „პროფესიული სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად პროფესიული განათლების მასწავლებლების მოწვევისა და მოწვეულ მასწავლებლებზე საკონტაქტო საათების დამატებისა და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროგრამის ხელმძღვანელების განსაზღვრის შესახებ“ დაწესებულების დირექტორის 2019 წლის 2 დეკემბრის №01-02/155 ბრძანებით.
- „შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე საათობრივი ანაზღაურების წესით მოწვეული მასწავლებლის (სპეციალისტის) სამსახურში მიღების, შრომის ანაზღაურების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის წესით“ (წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 29 ივნისის №12 დადგენილება);
- დაწესებულების აკადემიური საბჭოს 2021 წლის 09 ივლისის №34 დადგენილებით დამტკიცებული „შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

PDF Eraser Free

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმეებით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის ფორმებით;
- ბიბლიოთეკის დებულებით (წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 29 სექტემბრის №14 დადგენილება);
- საბიბლიოთეკო კატალოგით;
- სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებითა და მიღება-ჩაბარების აქტებით;
- დაწესებულების ბიუჯეტით;
- პარტნიორებთან გაფორმებული მემორანდუმებით;
- ინტერვიუირებით;
- დათვალიერებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

XI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

17.02.2022წ.

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: